

რედაქცია: სოლოჯიკი, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში, მარჯვ მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи, ВЪ редакціи газ. „Дружба“.

ბაზეთის ფასი: მთელს წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 ან., ერთის თვის—1 მან.

სალკე ნომერი ღირს შაურად.

დროშა

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განსაზღვრის: დროშა ერთი ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრუქტურაზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციკლოტი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბედათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბედავლი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

საქართველო

შენიშვნა

„დროშის“ № 77-ში დაბეჭდილმა მუთაისურმა წერილმა ბევრი გვაცინა; მაგრამ ვაი კი მისთანა სიცილს!.. ძორესპონდენტი აგვიწერს მუთაისის ბანკის საბრალო მდგომარეობას და თანაც დასცინის ბანკის დერეჟტორებს; სხვათა შორის ამბობს, რომ იმათ სიტყვა „ლიკვიდაცია“ თუ რა არის არ იცოდნენ. ეს ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ ისე დაცინვის მიზეზს რომ აძლევენ ავტორს, ისიც სამწუხაროა. იმათი საცინლათ ავლება და გაკიცხვა—საზოგადოების გაკიცხვა არის; მაგრამ როგორ გაუურისხდებით ჩვენ შინაურს მოძმეს, მაშინ როდესაც გარეშეები უფრო მეტსაც ანბობენ ჩვენზედ და, ღმერთთან სწორი სჯობს, რომ არც კი სტყუიან!.. ბანა სათვალ-და-თვალა არ არის, რომ ჩვენ ჩვენის წინაპრებისაგან ნაანდერძი სახელი გავიტყვებთ და პატივი დავკარგეთ?

საზოგადო საქმეში გულ-გრილობამ, კერძო-წერილმან საქმეების თაყვანის ცემამ და წინდაუხედავობამ, ჩაგვაგდო ისეთ ყოფაში, რომ ჩვენი საზოგადო ფასი ჩალა შეიქნა!.. და მაშინ რაღას უნდა ველოდეთ უცხოებისაგან, თუ არ საცინლად ავლებასა და გაკიცხვას!.. აბა, მითხარით, თუ ჩვენ როდისმე მიგეინდვია თაყვი მისთანა კაცისათვის, რომელსაც ქვეყნისათვის ეწირუნვოს?.. ბანა მისთვის ვირჩევთ მოთაყვებს, რომ საზოგადო საქმეს ხელი მოჰკიდონ და ემსახურონ? რა ბაძანება!.. მაშინ ამორჩევის დროს, რა გვახელმძღვანელებს ხოლმე? ის, რომ ერთი კარგათ გაეძღეთ და ან ერთი მადლობა მივიღოთ!.. შევეყანა და ქვეყნის საქმე რა ჩვენი საქმეა?!—

„მოლონდ შენ კი წახდი და დეე, მეც წახდეთ!“
აი ჩვენი აზრი საზოგადო საქმის დროს!.. ამან გავგეიტყვა სახელი!.. ჩვენი დაუფასებლობა, ჩვენი ავლება ვისი ბრალია; თუ არ ჩვენი სულ-მდაბლობისა? აბა თუ ერთხელ შეყრილა საზოგადოება ისე, რომ თხოვნა არ მიერთმობს მართებლობისათვის, რომ ესა და ეს ავაზაკი სიმბირში გაგზავნილი გვაპატიე, დაგვიბრუნე, გვეპირებო და სხვ.?—აბა თუ ერთი რამ გონივრული და საზოგადო მოგვეთხოვოს ჯერ მთაერობისაგან?.. და რომ კიდევ მოვითხოვოთ, ვინ წაუძღვება წინ იმ საქმეს? ჩვენი ამორჩეულები?!.. ძორეა ნულა-

რას მათქმევენებთ!.. ამეგზედ ლაპარაკი პირველი არ არის ჩვენგან და დღეს შეიძლება, რომ აღარ გაგვემოკრებია, თუ რომ ბანკის საქმე წინ არ გვედვას და მისი ბედის არ გვეშინოდეს. რაც ყოფილა—ყოფილა: გაუფლია ავთ, თუ კარგათ და მადლობა ღმერთს! რაღა გეწყობა.

მაგრამ აწ კი მაინც დრო არის ჩაიხედოთ გონებაში და ისე გავისარჯოთ. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ბანკის მმართველათ ავირჩიოთ მართალი კაცი, რომელსაც პატიოსნება, ცოდნა და შრომა—ბეჯითობა ერთად ჰქონდეს შეკავშირებული. შეიძლება, რომ ჩვენში მოინახოს პატიოსანი, მაგრამ თუ კი ცოდნა არ ექნა, რა გამოსადეგია? თუ პატიოსანი კაცად არ იქნება ნაცნობი, ძნელი მისანდობია!.. და აგრეთვე პატიოსანი და საქმის მცოდნე თუ რომელიმე მიზეზით ვერ იბეჯითებს, ვერ იმუშავებს, რას გვარგებს?.. და რომ სამი ღირსებით შემკული იყოს იმისთანა ჩვენ ვიცნობთ ამ შემთხვევაში ყველაზედ პირველ **დ. ი. შიფანს**.

ამ რამოდენიმე წლის წინეთ ერთმა ჩვენებურმა პირმა მითხრა:

„შეშარიტათ გასაკიცხი შენ არ იყო!—მე თუ კი ჩემის მცირე ცოდნით ნახევარი უფხლი გამოეხარი, შენ რა ღმერთი გწყურება, რომ სიღარიბეში ხარო?“

ამის პასუხი არა ვუთხარი. რა, რადგანაც ვიცოდი, რომ ის გულის წმინდით და გულის მტკიენეულობით მიუბნებოდა. იმის აზრით პატიოსნება და კაცობა მხოლოდ შეძენა არის და საშუალობა კი, რაც უნდა იყოს შეძენისთვის ნახმარი, იმას არ დასდევს!—შეზარებულმა ჩვენში ამ აზრისავე არის და ადვილად შეიძლება შიფანზედ იფიქროს და გამობითა სთქვას: რატომ მირზუაშეილი არ არის ის დალოცვილი, თუ კარგია!..

მაგრამ ჩვენ ეს ხალხი ხომ არა გვყავს სახეში.. ჩვენ მივმართავთ იმ მცირე ნაწილს ჩვენის საზოგადოებისას, რომელიც უფრო ნათლათა გვყავს წარმოდგენილი ჩვენს გულში და გონებაში და იმედოვნებთ, რომ ის თავის არჩევანს არ ააძლენს **დ. ი. შიფანს**.

აგრეთვე ვიმედოვნებთ, რომ ამორჩეულიც თავის მხრით იკისრებს საზოგადო საქმეს, რა გინდ მცირეც იყოს...

პეტერბურლი, 21 აპრილს

თფილისის ბანკის კრება

ბანკი, 30 აპრილს.

კრებას დაესწრო სულ 70 წევრი და სხდომა დაიწყო 11 საათს. წარსულს სხდომის პროტოკოლის წაკითხვის შემდეგ წარდგენილ იქმნა ბანკის ანგარიში 1878 წლისა. საზოგადოებამ დაამტკიცა ანგარიში და გამოუცხადა ბანკის გამგეობას და ზედამხედველ კომიტეტს მადლობა.

ბანკის გამგეობამ წარუდგინა ყრილობას წინადადება რომ წარსული წლის მთელი შემოსავალი (კამეტი ათასი მანეთი), რომელიც საზოგადო კეთილსაქმეებისთვის არის დანიშნული გადაეცეს ახალ დაარსებულ ქართულს სკოლას. თავმჯდომარემ უფ. მიძინაშვილმა გამოაცხადა რომ ამ შემწევობით სკოლას შეძლება მიეცემა, რომ პანსიონერები მოემატოს და თვით სკოლაც გადიდდეს. კრებამ ერთხმით დაამტკიცა ეს წინადადება.

მეორე წინადადება ბანკის გამგეობისა შეეხება ბანკის წესდებულების 64 და 84 მუხლების შეცვლასა. მამგეობას უნდა რომ დამფასებლის (აცენიკები) არჩევა და დანიშნვა იყოს დამოკიდებული გამგეობის და ზედამხედველ კომიტეტისაგან და არა საერთო ყრილობისაგან, როგორც ახლა არის; ამის გარდა 5 დამფასებლის შავიერათ იყოს მხოლოდ 3 და ამათ ეძლიოს ჯამაგირი 1200 მანეთი წელიწადში (ახლა 800 მანეთი). ასს კანდიდატს კი, რომელთაც არაფერი ჯამაგირი არ ექნებათ და რომელთაც მოიხმობენ მხოლოდ მაშინ, როდესაც გაჭირება მოითხოვს, მიეცემათ ჯილდოთ თითო სხდომისთვის ათათი მანეთი.

ამ წინადადებას გაცხარებული ბაასი ასტეხა საზოგადოებაში. ამაში ნახეს საზოგადოების უფლების დამცირება და თითქმის შეუარაცხყოფაც. თუ ჩვენ იმდონათ გვესმის საქმე, რომ ბანკის გამგეობას და ზედამხედველ კომიტეტს ვარჩევთ, რატომ არ შეგვიძლიან დამფასებლების ამორჩევა? რათა და რის გულისთვის უნდა მივანდოთ ეს გამგეობასა? მამგეობას არ მოეწონა ეს ლაპარაკი და ცოტა არ იყოს იწყინა კიდევ: ჩვენ რათა გვეწამებთ ცუდს ვანზრახვასაო, ვითომც საზოგადოების უფლების დამცირება გვინდოდესო, ჩვენ მხოლოდ ვცდილობთ ბანკის ინტერესი დავიცვათო. ხუთის წლის გამოცდილობით ვიცანით და ვიგობნეთო რომ აცენიკების ამორჩევა როგორც ახლა წარმო-



ებს ბანკისთვის სასარგებლო არ არისო. მაგრამ რაში მდგომარეობს ეს უფარვისობა, და რითა სჯობს ახალი წესის შემოღება, — ამისი არც ერთი საბუთი და არც მოსაზრება არ წარმოადგინა გამგეობამ. გამგეობის წინადადებას კენჭი უყარეს და გააშვეს, ხოლო ის ნაწილი ამ წინადადებისა, რომელიც შეეხება დამფასებელის რიცხვსა და მათ ჯამაგირსა და დაჯილდოებას მიიღეს და დაამტკიცეს. დამფასებელთა ამორჩევა გადასდეს მომავალ სხდომისთვის.

წაიკითხეს გამგეობის წინადადება ქართულ თეატრის შემწეობაზე. თეატრის კომიტეტმა ითხოვა ბანკისაგან სამასი თუმანი სცენის გამართვისათვის და ქონების შეძენისათვის. ბანკის გამგეობა თანახმა იყო ეს ფული ესესხებინა, იმ პირობით რომ თეატრს მიეცა ყოველი წელიწადს სამი წარმოდგენის შემოსავალი შკოლისათვის ვიდრე ამ ვალს გადაიხდებოდა. ზედამხედველ კომიტეტმა დაამტკიცა ეს წინადადება და ესრე წარუდგინეს საზოგადოებას.

ბრებამ ერთხმით გადაწყვიტა, 3000 მანეთი მიეცეს თეატრის კომიტეტს, სამუდამოთ და არავითარი პირობა არ ჩამოერთვას.

თავ. ნ. ამატუნის წინადადება შესახებ მე-30 მუხლის შეცვლისა უკუგდებულ იყო, რადგანაც, წესისამებრ, მოხსენებულნი არ იყო განცხადებაში ორი კვირის წინ.

მომავალი სხდომა დანიშნულია 4 მაისს.

აშთაინის ბანკის მრეხა

26 აპრილს.

სხდომა გაიხსნა 11 საათზე. თავმჯდომარემ წაიკითხა დამსწრე წევრების სია; ითვლებოდა სულ 211 კენჭი.

შემდეგ ამისა თავმჯდომარემ მოიხსენა გუშინდელი გადაწყვეტილება შესახებ ბანკის დამფუძნებელთ სიების შესწორებისა და ხუთასი მანეთის ჯილდოსათვის ფულების შენახვისათვის; სთქვა, რამდენი ურდა ყოფილიყოს ახლანდელი ბანკის დამფუძნებელთ სიებით ბანკის დასაფუძნებელი ფული და ნამდვილ რამდენი მიიღეს ხაზინიდან. გამოჩნდა, რომ მეტი მიიღებოდა იმაზე, რაც ჩვენი სიების ჩვენებით უნდა მიგვეღო, 10,719 მანეთიო.

თ. ირაკლი ლორთქიფანიძე. შარშან იყო ლაპარაკი სიების შესწორებაზე და იმის შეტყობაზე, თუ რამდენი ფული უნდა მიგვეღო ხაზინიდან და რამდენი მივიღეთ. ჩვენ ესთხოვეთ ზედამხედველ კომიტეტს სრული ცნობების შეკრება, რომ ახლანდელ კრებაში გავვევა ყველაფერი და გავვეთავებინა საქმე. თქვენ ამბობთ, უთხრა ზედამხედველ კომიტეტს, ფული მეტი მივიღებო. არც მეტი უნდა იყოს და არც ნაკლები ერთი კაპეიკით. ჩვენ ვითხოვეთ სიები უცდომელათ ყოფილიყვენ შედგენილნი და ნამდვილ ცნობაში ყოფილიყო მოყვანილი, ვის რამდენი დაუ-

ტოვებია ფული ბანკის დასაფუძნებლათ. რა გააკეთეთ? შესარულეთ ჩვენი თხოვნა თუ არა?

ზოგიერთმა წევრებმა უთხრეს თავმჯდომარეს, რომ ის დღეს ამბობს ათას შეიდას ცხრამეტი მანეთი მეტი მივიღეთო, და გუშინ ამბობდა, ამდენით ნაკლები მივიღეთო.

ამაზედ თავმჯდომარემ უპასუხა მათ, რომ შეიძლება გუშინ შევცდით და ისე ვერ მოგახსენეთ, როგორც უნდა გვეთქვა და დღეს გეუბნებით ისე, როგორც ნამდვილი არისო. შემდეგ ამისა თავმჯდომარემ უპასუხა თ. ირაკლი ლორთქიფანიძეს, რომ ზედამხედველ კომიტეტმა ყოველი ღონისძიება იხარასიების შესწორებისათვის, მაგრამ უნაკლებად შედგენა, რომ არაფერი გაუჩვევლი არ დარჩენილიყო, შეუძლებელი დაჭრიაო. ამოჩნდა, რომ ზოგიერთ დამფუძნებლებს მართა სახელი და მათი მამების სახელებია, და გვარები კი არაო; ზოგიერთების ისეთების ფული დაჭრინილა ბანკის დასაფუძნებლათ, რომელთაც არც გვარი და არც სახელი არ იცის კაცმაო. სხვა საშვალებას ვერაფერს ვბოვებთ, რომ ეს ნაკლებევაება გააწორდეს; უნდა დაეჯერდეთ მას, რაც შეგვიტყვია. თუმცა გადაწყვეტილათ ვერ ვიტყვი, კიდევ მოგახსენებთ ამას, რომ შეცდომები არ იყოს სიებშიო, მაგრამ თუ მეტი არა გავვეწყობა, თავი დაეანებოთ, უბრალო შრომასა და ხარჯს ნუ გავსწევთო.

ირაკ. ლორთქიფანიძე. მე ვამბობ, რომ გავვეწყობა, შეიძლება უნაკლებოთ შევადგინოთ სიები თუ პალატისა და ხაზინის საქმეები ჩვენი ფულების შესახებ გაშლილები იქნებიან ჩვენთვის გასაჩხრეკათ. საჭიროა ვიცოდეთ, ვინ არის ბანკის დამფუძნებელი და რამდენი შემოუტანია. თუ ახლა არ ვიცით, ვინ ვითვლებით წევრებათ, შემდეგ ჩვენმა მიმკვიდრეებმა, როგორ გაიგონ თავისი მონაწილეობა ბანკში? მაივით, რა დემართა უმაღლესათ ნაბოძებ ფულებს სანამ ჩვენ ბანკამდის მოაწევდენ? შეტყობას ამისას არავენ გვიძრახეს. ჩვენ იმისანა მდიდრები არა ვართ, რომ ასე უზრუნველნი ვიყვენ ჩვენს საკუთრებაზე. ორი-სამი ხმა მოისმა, რომ ეს კითხვა გუშინ იყო გარჩეული და გადაწყვეტილიო, და ახლა აღარ შეგვიძლია გუშინდელი გადაწყვეტილება დავარდვიოთო.

ბ. წერეთელი. ბუშინ ჩვენ ის გადაწყვეტიეთ, რომ ჯილდო მიეცეს პალატაში და ხაზინაში მოსამსახურე პირებსო, თორემ ის კი არ გადაგვიწყვეტია, რომ აღარა გავიგოთ მომავალში, აღარა ვეძიოთო. თუ კი შესაძლოთ დავინახეთ მის გასწორებას, რაც აქამდის ვერ გავისწორებია, რათ უნდა დავტოვოთ საქმე გაუგებარ მდგომარეობაშიო? ბუშინდელი გადაწყვეტილება თავის რიგზე იყოსო.

თ. ირაკლი ლორთქიფანიძე მსხვთა შორის გამოუცხადა ზედამხედველ კომიტეტს, რომ მას არაფერი გაუკეთებია

სიების შესწორებისათვის, მაგრამ იმისა რომ უმთავრესი სამმართველო საშვალეებით მოუთხოვია, რომ მისთვის (ზედამხედველი კომიტეტისათვის) ცნობები გამოეგზავნათ ამ საქმის თაობაზე, საიდანაც საჭირო იყო, და ამ თხოვნაზე უარი მიუღია.

ის ამბობდა, რომ სიების შესწორება შრომას მუთხოვსო, თორემ შესაძლებელი სწორეთ არისო: როცა გვირიგებდნენ გლეხების ფულებს, ისე დაწვრილებით სწორდენ ყველაფერს: ვის მიჰქონდა ფული, სახელს მის მამისას, რამდენი სულის გლეხისათვის ეძლეოდა ეს ფული და რამდენს ატოვებდნენ — ყველაფერს ამას ისე დაწვრილებითა ჰაწვრიდნენ წიგნებში, რომ თუ ამ წიგნების დახედვას არავენ დავიშლის, სიების შესწორება და ვის რამდენი ფული დაუტოვებია ბანკისათვის, მისი შეტყობა შესაძლებელია.

თავმჯდომარე. თუ გნებათ (საზოგადოებას ეუბნება) კიდევ შესწორდეს სიები, დანიშნეთ კაცი, რომელსაც უნდა მიანდოთ ეს საქმე; მაგრამ ჩვენ კიდევ ჩვენს ჰაზრს მოგახსენებთ, რომ ტყვილი შრომა იქნება. ზედამხედველ კომიტეტს კი არ შეუძლიან მიიღოს თავის თავზე ეს საქმე, რადგან ის საკმაოთ ეცადა მის გაკეთებას და ბოლოს დარწმუნდა, რომ მეტი რაც უკვე გავებულა, ვერას გაიგებს.

შეიქნა გაცხარებული ბაასი სიების შესწორებაზე. ზოგი ამბობდა, საჭირო აღარ არისო, ზოგი ამბობდა, რომ საჭიროაო. ამ დროს თავადმა მერაბ ლორთქიფანიძემ სთქვა, რომ თუ იკისრებს თ. ირაკლი ლორთქიფანიძე ამ საქმეს, დიდათ დაგვევალებს და დიდი მადლობის ღირსი იქნებაო. სიების შესწორების მომხრეები ამბობდნენ, რომ სიების შესწორება იმ მხრითაც კარგი იქნება, რომ გავვაგებინებს ბანკისთვის დატოვებულ ფულების რაოდენობას; მაშინ შეგვეძლება ესთქვათ, დაგვეკარგა ფული, თუ არაო.

უ. ბ. ლობჯინიძე. ეს ფულის ძებნა რომ დაგვიძინათ, რა გამოვა იმისაგან? მსთქვათ, გაიგეთ, რა იქნა ფულები. მის უნდა გადაახდებინოთ?

სიების შესწორების თაობაზე ბევრი ლაპარაკობდა, რომ ეს უფრო იმისთვისაა საჭირო, რომ ბანკის დამფუძნებელთ რიცხვს გვაჩვენებსო. შეგვატოვებინებს, თითოეულათ ვინ არის დამფუძნებელიო.

შეიძლება მათ, ვინც ახლა გამოტოვებულია სიებში, ცოტა ჰქონდეს ბანკის საფუძვლათ შემოტანილი, მაგრამ ეს არას ამტკიცებს წინააღმდეგსო; ამისთანა კაცებისათვის, ღარიბ შემამულეებისათვის, მათი თითო-ორლოა მანეთიც იმდენათ ძვირფასია, როგორც სხვილ მემამულეებისათვის ათასი და სამი ათასი მანეთიო. უმთავრესათ თ. ირაკლი ლორთქიფანიძე იყო ამ ჰაზრის წარმომიტქმელი.

უ. ბ. წერეთელი დაჰსძინებდა იმასაც, რომ გუშინ თ. პირ. ლორთქიფანიძემ კვიტანციების დარიგების საჭი-



როგო განაცხადა ბანკის დამფუძნებელ-
თათვისო და ამისთვის კიდევ მიუცილებ-
ლათ საჭიროა ნამდვილ სიების ქონე-
ბაო.

ბოლოს თ. ირაკლი ლორთქი-
ფანიძემ დაბოლოვა თავისი სიტყვე-
ბი შესახებ სიებისა მით, რომ ამ საქმის
ნამდვილ გაგებას და ცნობაში მოყვან-
ას ბანკის წესდების § 3 თხოულობს,
და ვალდებული ვართ შევასრულოთო.

თავმჯდომარემ მოახსენა საზოგადო-
ებას, რომ თავიდან ყველა სიების გა-
დახედვა ძნელიაო. ჰსჯობია კვიტანციე-
ბი დაეუროგოთ დამფუძნებლებს, რო-
გორც თ. ძირ. ლორთქიფანიძემ ჰსთქვა,
და ვისაც კვიტანცია არ შეჰხედება, მა-
გრამ ფული კი დაუტოვებია ბანკის და-
საფუძნებელად, ის განცხადებას შემოი-
ტანს ბანკში; ამისთანა განცხადებები
რომ მოგროვდებინან, შემდეგ გამოვიძი-
ებთ, თუ ამ პირებს მართლა ჰქონიათ
ფული დატოვებული ბანკისათვის, ან
რამდენი ჰქონიათ, და ამნაირათ შეჰს-
წორდება სიები.

უ. ბ. წერეთელი (კომიტეტი).
თქვენ ვერ ამბობთ იმას, რომ შეცდო-
მა არ იყოს სიებში. როგორ შეიძლება
კვიტანციები დაარიგოთ, თუ სიები, რომ-
მლებსაც იხმართ კვიტანციების დარი-
გებისათვის, სწორები არ არიან? თვი-
თონ პომიტეტმა მიიღოს თავის თავზე
სიების შესწორება; თუ არა საზოგადოე-
ბამ დანიშნოს კომისია ამ საქმისათვის.
ან კომისიამ გაათავოს ეს საქმე, ან თქვენ
გთხოვთ მიიღოთ და უფრო ენერგიუ-
ლათ მოჰკიდოთ ხელი. სიების გადახედ-
ვა კი თავიდან ბოლომდის არის საჭირო.

უ. მ. ღარახველიძემ სთქვა, რომ
უ. წერეთლის ჰაზრი მისაღები არ არის.
პომიტეტმა მიიღო თავის ზომები და
მეტი ვერა შეიტყო-რაო; კომისიის და-
ნიშნვა სარგებლობის მაგიერ ზიანს მო-
უტანს ბანკსაო; კომისიას რომ ხარჯი
მოუხდება, მისი მეთადიკ შეიძლება
არაფერი შეეძინოს ბანკსაო. იმით რა
წაუხდება ბანკს, რომ არ გავიგოთ, ვი-
სი შემოტანილია 600 მანეთი, რომე-
ლიც ბანკის ძირითად ფულში აღმოჩე-
ნილა, და არ იცის კაცმა, ვისი შემო-
ტანილია? თუ კერძო-პირი იკისრებს ამ
საქმის შესრულებას, ბევრათ უკეთესი
იქნებაო.

ძირ. ლორთქიფანიძეც თანახმა იყო
ამ ჰაზრის. მრთი და ორი მანეთი მეტი
იქნება ვისმესაგან შემოტანილი ბანკის
საფუძვლათ, თუ ნაკლები, ეს ბანკისა-
თვის სულ ერთია; მისთვის სულ ერთია,
ვისაც უნდა შემოეტანოს ეს მეტი,
ოღონდ კი ბანკის საფუძვლათ იყოს.
თუ ბანკის ფულს ხაზინაში ყოფნის
დროს რამე მოჰკლებია, ეს ჩვენი გაუ-
გებრობით და უზრუნველობით მომხდა-
რა. რაც დაგვეკარგა ჩვენ, იმას ვეღარ
მოუნახავთ კიდევაც რომ გავიგოთ, რამ-
დენი დაგვეკარგვია და ვის შეუჭამია,
გადახდევინებით ვის გადავახდევინებთ?
მინ აცის, ვინ ჩაიკუჭნა ჯიბეში სერიე-
ბის კუპონები ან რამდენი ჩაიკუჭნა?

თ. ირაკლი ლორთქიფანიძე.

რას ბძანებთ, ბატონო? სიები სხვაა,
ფულის მოძებნა სხვა და გადახდევინება
სხვა. შევლას თავისი მნიშვნელობა
აქვს.

(შემდეგი იქნება).

დღიური

* * * თუმცა ახალმა ძალაქის თავმა
უფ. მატინოვმა თითქო მოაქცია ბაზარს
ყურადღება, თუმცა ის მუდამ დილით
დაიარება ჩვენს ბაზარში და იარმუკაში,
მაგრამ, როგორც სხანს, ჯერ იმის ყუ-
რადღების მოქცევას ბევრი ვერა გაუ-
რიგებია-რა. ეს რომ ასე არ იყოს, უეჭ-
ველია, მომეტებული წესიერება და რიგი
იქნებოდა ბაზარში; მაგრამ სამწუხაროთ,
გვესმის, რომ იქ ისეთივე უწყსოება და
სოფლის ხალხის წევვა-გლეჯა ხდებაო,
როგორც ადრე იყოო. ბაყლები და მი-
კიტნები დესეტნიკებს არაყს ასმევენ და
ქრთამს აძლევენო იმისთვის, რომ სოფ-
ლის ხალხი იმათ იარმუკილამ გარეკონო.

იქედია, რომ ახალი თავი ამ გარე-
მოებას ყურადღებას მიაქცევს.

* * * ბურილამ გვწერენ, რომ ეს ერთი
თვე არის, რაც რამდენსამე საზოგადოე-
ბაში გაჩნდა ყვაილიო და საშინლად
გაზირდა სიკვდილიო; სამს სოფლის სა-
ზოგადოებაში თითოეულში უკანასკნე-
ლი სამოც-სამოკი სული იმსხვერპლა
ამ ავათმყოფობამაო.

ბორესპონდენში სჩივის, რომ ამის-
თანა მდგომარეობაში ჩვენ არც ექიმი
გვყავს და არც ფერშალიო, რომ ყვაი-
ლი ავატრევირთ და ამნაირად ვინც
კარგა-მყოფია, ისინი მინც გადავარჩი-
ნოთ ამ საშინელი ავათმყოფობისაგანო.

* * * მუთასილამ გვწერენ, რომ იქა-
ურს სასულეგრო სასწავლებელში წელს
სწავლა ძალიან სუსტად მიდიოდაო, რად-
გან მასწავლებლები ხშირად აკლდებოდ-
ნენ გაკვეთილებსაო, და ამის გამო წლე-
ვანდელი აქაური კურსი ძალიან სუატი
იქნებოა.

* * * ჩვენ მივიღეთ ბორილამ შემდეგი
შენიშვნა:

„ღიდის მოუთმენლობით მოელოდ-
ნენ და უხაროდათ ზოგიერთა განათლე-
ბის მეძიებელ პირთა საქალებო პრო-
გიმნაზიის დაარსება ქ. ბორში. ეს სიხა-
რული ბევრჯელ თქვენ პატივცემულ
მკითხველებთანაც განგვიზიარებია, ბა-
ტონო რედაქტორო; მაგრამ ესლა კი
ჰლაიმის ეს სიხარული მწუხარებათ გადა-
გვექცეს და სიტყვები: „მომავალ წელი-
წადში ბორში ქალების პროგიმნაზია
გვექნება“ ამოთ დარჩეს.

რას მივაწერეთ ეს დაბრკოლება?
რასაკვირველია, რომ ბორისვე საზოგა-
დობას და უმეტესათ აქაურ ძალაქის
თავს. ამისთანა სასარგებლო საქმის
სისრულეში მოყვანა ძალაქის თავზე
დამყარებული, თუ არა ვცდები. მართა-
ლია, უფ. სემენოვმა იკისრა, ხელის-მო-

წერაც გააჩადა ამ საქმისათვის, მაგრამ
ხელის-მომწერლებსაგან ფულის გზავნა
თმევა ვერ მოახერხა და ქალაქის გალა-
ვას მიანდო ეს საქმე. ბალავაც ამ მინ-
დობილებას პატივის-ცემით მიეგება და
დაჰპირდა მოკლე ხანში მის სისრულე-
ში მოყვანას, მაგრამ აჯერ სამ თვეზე
მეტი იქნება, რაც ის მინდობილება აუ-
სრულებელი დარჩა.

„საზოგადოება კი მომავალ ღვინობის-
თვეში მოელოდა პროგიმნაზიას! და რო-
გორც ეტყობა, ჯერ ბევრი ღვინობის-
თვეები გაივლიან, მანამ ჩვენ პროგიმ-
ნაზია გაგვეხსნება.“

„დროების“ კორმსპონდენცია

მნი, 24 პპილის. „დროების 73 №-ში
არის დაბეჭდილი წერილი. რედაქტორ-
თან, რომლის ავტორი, უ ჩხრეკია-რა-
ქველი სხვათა შორის აი რას იწერება:

„ეს მეორე წელი გადის, რაც რაჭაში
დაწესდა გამსეს. შემნ. ამხანაგობა, რომ-
მელსაც განსნისათანავე ზოგიერთებმა
ექვიანი თვლით შეხედეს და კარგი
ბედი ვერ უწინასწარმეტყვეს. ეს წინას-
წარმეტყველება, ჩვენდა სამწუხაროდ,
თითქმის მართლდება: ცხრა თვე გადის
უმეტესმა ნაწილმა წვერებისმა არ ვიცით
რა მდგომარეობაში არის ამხანაგობის
საქმე. მოუთმენლად ველოდით თებერ-
ვალს, როდესაც, წესისამებრ, ჩვეულებ-
რივი კრება უნდა მომხდარიყო ანგარი-
შის დასამტკიცებლად და სარგებლის
გასანაწილებლად ამხანაგების შორის
მაგრამ ეს მარტივ დაილია და ჩვენ ჯერ
კიდევ არაფერი შეგვიტყვია. ახლა იძუ-
ლებული ვართ მივმართოთ ამხანაგობის
ჩჩევის წვერებს უფ. ა. ბ. და შ. ჯ.
გაცნობონ ამხანაგობის საქმე. საზო-
გადო კრება რათ არ იყა ებერვალში?
თუ იყო, რამდენი წვერი დესწრო, ან
რა საქმეები განიხილეს? სარგებელი
თუ გაანაწილეს ვის მისცეს და სხ. შე-
ლით პასუხს მოუთმენლად.“

თუმცა ჩხრეკია-რაქველი ამხანაგობის
ჩჩევის წვერებს ა. ბ. და შ. ჯ. სთხოვს
პასუხს მის კოთხებზე, მაგრამ რადგან
წესიერად ანუ უწყსოდ წაყვანა ამხა-
ნაგობის საქმეთა დამოკიდებულია გამ-
გეობაზე, რომლის წვერად ვარ მე აღ-
ჩეული იმ დღესვე, როდესაც დაწესდა
ამხანაგობა და მაშა სადამე რაც ცუდი
რამ ითქმება ამ ამხანაგობაზე, მეც შე-
მეხება, როგორც გამგეს, იძულებული
ვარ ესთქვა ორიოდე სიტყვა.

ბაზეთის „მზობრის“ ამწლის 371
და 377 №№-ში დაბეჭდილი: ჩემის
კორრესპონდენციისა, დ. მნიდამ, შესა-
ხებ მნის შემნახველ-გამსესხებლის ამხა-
ნაგობისა და ანგარიშისაგან ამა ამხანა-
გობის 1878 წლის, მკითხველს საზოგა-
დობას შეუძლია დაინახოს, თუ რა
მდგომარეობაში არის საქმე ამხანაგობის-
სა და რა მიზეზები აბრკოლებენ ამ საქ-
მის სანატრელად წაყვანას.

მიკვირს, ჩხრეკია-რაქველს, ესრე მო-
ყვარულს და თვალ-ყუთის მადვენებელს

